განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი

განცხადება

მიმდინარე საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით

10 მარტი, 2020 წელი

მივესალმებით ქვეყნის პოლიტიკურ აქტორებს შორის მოლაპარაკების კონსენსუსით დასრულებას და საარჩევნო სისტემაზე მიღწეულ შეთანხმებას, რაც წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის დასტაბილურების და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების წინაპირობას. ხაზგასასმელია ფასილიტატორების პოზიტიური როლი აღნიშნული პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის პროცესში. შეთანხმებით მიღწეული პირობების დაცვა და საკანონმდებლო ცვლილებების დროულად განხორციელება უდავოდ შეამცირებს საზოგადოებაში არსებულ დაძაბულობას და ჩართულ მხარეებს მისცემს შესაძლებლობას გადავიდნენ წინასაარჩევნო მზადების რეჟიმში. იმისათვის, რომ ყველა ამომრჩეველმა განახორციელოს საკუთარი უფლება მნიშვნელოვანია შესაბამისმა ორგანოებმა მიიღონ ეფექტური ზომები, რათა მოხერხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ხარვეზების გარეშე იმპლემენტაცია და ამომრჩეველთა სათანადო ინფორმირება. ამავდროულად მნიშვნელოვანია საარჩევნო კანონმდებლობაში განსახორციელებელ ცვლილებებში გათვალისწინებულ იქნას ევთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისისა (OSCE/ODIHR) და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წინა წლებში გაცემული რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და არჩევნების უფრო მეტად თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარებას. მოვუწოდებთ საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს თანამშრომლობისკენ და გამოთქვამთ მზაობას აქტიური მონაწილეობა მივიღოთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის პროცესში.